ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N9

2015 წლის 4 თებერვალი

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 23-ე და 25-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს N726 ბრძანებულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N53 დადგენილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის

პირთა თანამდებობრივი სარგო

N	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2 650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1 900
3	კომისიის თავმჯდომარე	1 500
4	ფრაქციის თავმჯდომარე	1 500

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო

მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობრივი სარგო
2	აპარატის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1350
3	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	950
4	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	უფროსი საჯარო თანამდებობა	900
6	მთავარი სპეციალისტი	უფროსი საჯარო თანამდებობა	750
7	წამყვანი სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა	650
8	უფროსი სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა	620
9	სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა	600